

დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება

კონსტრუქციული (გამოყენებითი) გეოგრაფია და გარემოს დაცვა

2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - გეოგრაფიის მაგისტრი

3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით

120 ედიტი (ECTS), ხანგრძლივობა - 4 სემესტრი, სემესტრში - 30 კრედიტი

4. სწავლების ენა - ქართული

5. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი

- მელორ ალფენიძე - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორი

6. სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ინჟინერიაში (მშენებლობა, სამთო და გეოინჟინერია), საზოგადოებრივ გეოგრაფიაში;
- საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგები;
- შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში (სასპეციალიზაციო საგანი - გეოგრაფია).
საკითხები იხ. http://sou.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=371&info_id=855

7. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პრეამბულა-აქტუალობა. რეგიონების ნეგატიური მდგომარეობის მიზეზების კვლევა, ბუნებრივი გარემოს მდგრადი განვითარებისა და რაციონალური ბუნებათსარგებლობის მიღწევა, გეოგრაფიული მეცნიერების ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა, რომელიც ბუნება-საზოგადოების ჰარმონიული ურთიერთობის სტრატეგიის გამომუშავებისა და გეოგრაფიული პროგნოზირების საფუძველს წარმოადგენს.

ეროვნულ დონეზე მდგრადი განვითარების ძირითადი პრინციპები საქართველოს კონსტიტუციაში (მუხლი, 37) აისახა. მას ეფუძნება კანონმდებლობა გარემოსდაცვითი ერთიანი სისტემის შესახებ. ამ კონცეფციის საფუძველზე მდგრადი განვითარება განიხილება, როგორც "ანთროპოგენიზებული" და "ეკოლოგიზებული" გარემოს უნარი დაუბრუნდეს თავის პირვანდელი წოსაწილის მდგომარეობას. ამ პირობებში, გარემოს მდგრადი განვითარება ანთროპოგენური დატვირთვების ხარისხს შენარჩუნებისა და ბუნების კომპონენტის (რელიეფი, ჰავა, ნიადაგ-მცენარეული საფარი და ა.შ.) თვითდაცვის უნარის ასპექტებზეა დამოკიდებული, რომელიც თავის მხრივ, ბუნებრივი გარემოს უნიკალურ თვისებას - თავისი პარამეტრების ცვლილების განსაზღვრულ ფარგლებში შენახვისა და ბუნებრივი გარემოს თვითგაწმენდის ხასიათიდან გამომდინარეობს.

ძლიერი ანთროპოგენური დატვირთვის პირობებში, სტიქია კოლოსალურ მასშტაბებს აღწევს. დაზიანებული ბუნება საფრთხეს უქადის მოსახლეობას. ეკოლოგიური რისკის წინაშე აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი ზონები: ზღვისპირეთები და მიმდებარე დაბლობები, ტყის ფრაგმენტები, დასახლებული არეალები და სატრანსპორტო თუ საკომუნიკაციო ქსელის ფართო ზოლები. განსაკუთრებით მაღალი რისკის ქვეშ აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნის მცირედ დასახლებული მთიანეთები, რომელთა მოწყველადობა და გარეგანი ზემოქმედებების მიმართ თავდაცვის საკმაოდ დაბალი უნარი - საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია.

ბუნებრივი გარემოს სახიფათო განვითარების ტენდენცია კიდევ უფრო ძლიერდება საშიში ხდება, რომელთა გამოვლინებები საფრთხეს უქმნის მცირემიწიანი საქართველოს დასახლებებსა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, უნიკალური ტყეების ფრაგმენტებსა და სატრანსპორტო კომუნიკაციებს. ამ პირობებში სახეზეა გარემოს მეტად შთამბეჭდავი დეგრადაცია, დიდი ეკონომიკური ჩავარდნა და მეურნეობის სტაგნაცია, რაც მოსახლეობის მასიურ ევაკუაციასა (მთიანეთების გაუკაცრიელება) და ახალი დასახლებების შექმნას (კოლოსალური ხარჯები) მოითხოვს.

ბუნებრივი მოვლენების ანთროპოგენური დარღვევების შედეგად წონასწორობიდან გამოყვანილი სისტემების მოწესრიგების საკმაოდ ხელსაყრელი ამოცანა - გეოგრაფიული რეგულირება და მართვაა. გარემოს სისტემაზე ზემოქმედების ბუნებრივი მექანიზმების რეგულატორული უნარის საფუძველზე ბუნებრივი პროცესების დინამიკურ წონასწორობამდე შესაძლო მიყვანა და ტექნოგენური ნაკადების მართვა - რეგულირების ფაქიზი მექანიზმის ღრმა გაცნობიერებითა და გეოგრაფიული გააზრებითა შესაძლებელი, რომელიც რეგულირების პირდაპირი და უკუკავშირების პრინციპების ამოქმედებასა და სისტემის დინამიკური წონასწორობის ჩამოყალიბებას განაპირობებს.

აღნიშნულიდან ჩანს, რომ ბუნებრივი გარემოს სტიქიურ-დამანგრეველი პროცესების კვლევის გეოგრაფიული მიდგომა არა მარტო კომპლექსური ხასიათისაა, არამედ მართვის მექანიზმების მსვლელობასა და რეგულირების აპრობირებულ პრინციპებს ემყარება. აქედან გამომდინარე, მათი ბერკეტების ბუნებრივ გარემოში რეალიზაცია და ფაქტობრივი დანერგვა - რაციონალური ბუნებათსარგებლობის მიღწევის უნიკალურ საფუძველს წარმოადგენს და თავისი შინაარსით - გამოყენებითი ხასიათისაა, რომლის ამოცანა ბუნებრივი გარემოს მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაა. ამ პრობლემას კი მომავალი თაობებისათვის სრულფასოვანი ბუნებრივი (გეოგრაფიული) გარემოს შენარჩუნება უდევს საფუძველად. აქედან, აშკარაა: სამაგისტრო პროგრამის - ”კონსტრუქციული (გამოყენებითი) გეოგრაფია და გარემოს დაცვა“ აქტუალობა ეჭვს არ იწვევს.

საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვის, ქვეყნის გარემოსდაცვითი და ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის შესახებ განათლების მიღებისა და შესაბამისი სპეციალობის მომავალი თაობების მომზადების აღიარებული პრინციპებიდან გამომდინარე, **სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის გათვალისწინებით**, გეოგრაფიის საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია აღზარდოს:

- საზოგადოების თანამედროვე ეტაპის მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებადპროფესიული და გარემოსთან ადაპტირებადი სპეციალისტი, რომელსაც შეძენილი აქვს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება და აქტივობა, ჰუმანიზმის, დემოკრატიისა და ლიბერალური ღირებულების პრინციპები, ჩამოყალიბებულია როგორც თავისუფალი იდეების მატარებელი პიროვნება;
- მოსახლეობის კეთილდღეობის, ეკონომიკური ძლიერების, თავდაცვისუნარიანობის, დემოკრატიული პრინციპების დაფუძნებისა და სულიერების ამაღლების მიზნებით შეიარაღებული ადამიანი, რომელსაც აქვს (თავის დარგში) გამოყენებითი ხასიათის სამუშაოთა ჩატარების განხორციელების შესაძლებლობა და ღრმა დაინტერესება;

- უახლეს მეცნიერულ იდეებზე დამყარებული და თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი ფართო საუნივერსიტეტო გეოგრაფიული განათლების - თანამედროვე საზოგადოებაში ინტეგრაციის მაღალზნეობრივი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე სპეციალისტი.

აღნიშნული მისიის მისაღწევად, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნებიდან გამომდინარე, სამაგისტრო პროგრამა მოწოდებულია აღზარდოს გეოგრაფიული ცოდნით აღჭურვილი მაგისტრი-სპეციალისტები, რომლებსაც ჩამოყალიბებული აქვთ:

- ჭეშმარიტი მოქალაქეობრივი დანიშნულება, ქართული ეროვნული კულტურისა და უნიკალური ტრადიციების, ასევე მორალურ-ზნეობრივი კატეგორიებისა და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის გათავისება-დაცვა;
- ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის, პიროვნული პოტენციალის რეალიზების, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარების, შრომის ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის შესაბამისი განათლება და უნარები, ცოდნის მუდმივი გაღრმავებისა და უცხოური გამოცდილების გაზიარების მოთხოვნილება.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის გეოგრაფიის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სასწავლო და პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული განათლების მიღებას. კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს საგანმანათლებლო, ბუნებობისარგებლობის, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გონივრული ათვისების სამთავრობო და არასათავრობო დაწესებულებებში. მაგისტრი ადვილად შეძლებს სწავლის გაგრძელებას დოქტორანტურაში შესაბამისი მიმართულებით.

პროგრამის მიზანია - მომზადდეს განათლების მეორე საფეხურის შესაბამისი - მაღალი კვალიფიკაციის მაგისტრი კონსტრუქციული (გამოყენებითი) გეოგრაფიისა და გარემოს დაცვის მიმართულებით. სამაგისტრო პროგრამის აქტუალურობას განსაზღვრავს შემდეგი საკითხების სრულფასოვანი ათვისება:

- ბუნებრივი პროცესების შესწავლაში ფიზიკურ-გეოგრაფიული მეთოდების გამოყენება;
- ბუნებრივ-ანთროპოგენური პროცესების გამოვლენა და მოსალოდნელი ცვლილებების პროგნოზი;
- ბუნებრივი რესურსების რაციონალური ათვისების, ადამიანი-ბუნების სამეურნეო სისტემაში ჰარმონიის დამყარებისა და ბუნებათსარგებლობაში ადამიანის გონივრული ჩარევა-მონაწილეობის მიღწევა;
- ბუნებრივი გარემოს გეოგრაფიული მეთოდებით კვლევის საფუძველზე დარღვეული სისტემების გამოვლენა, რეგულირება-მართვის ღონისძიებების შემუშავება და მათი პრაქტიკაში რეალური დანერგვა.

სამაგისტრო პროგრამის „კონსტრუქციული (გამოყენებითი) გეოგრაფიისა და გარემოს დაცვის“ ათვისების შედეგად მაგისტრის აკადემიური ხარისხის სპეციალისტს აქვს ზოგადგეოგრაფიული ცოდნის ღრმა საფუძველი, რაც თავის მხრივ გულისხმობს:

- გეოგრაფიული მეცნიერების საფუძვლების ფართო და სისტემური ცოდნის მიღებას, ბუნების კომპონენტებისა და ელემენტების ურთიერთობათა შესახებ თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას, ბუნებრივი გარემოს სისტემის კომპლექსურ და სრულფასოვან გაცნობიერებას, სისტემის შიდა კავშირების დანახვისა და მისგან გამომდინარე მოვლენების

ზოგადგეოგრაფიული კანონების აღქმას, გეოგრაფიული (ლანდშაფტური) გარსის სტრუქტურის, განვითარებისა და ტერიტორიული დიფერენციაციის სრულფასოვან გაცნობიერებას;

- გარემოს საველე კვლევების ჩატარების უნარ-ჩვევების გამომუშავებას, გამორჩეული (ექსპედიციური, სტაციონარული) მეთოდების პრაქტიკაში რეალურ გამოყენებას, ბუნების დარღვეული ობიექტების აღდგენა-დაცვითი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში აქტიური მონაწილეობის მიღებას;
- ბუნებრივი და ანთროპოგენური ლანდშაფტების დინამიკისა და ფუნქციონირების, გარემოდაცვითი ღონისძიებების შემუშავების საფუძვლების შესწავლას;
- საქართველოს (კავკასიის ნაწილი) ბუნებისა და საზოგადოების კომპლექსურ-გეოგრაფიული კონტექსტში წარმოდგენისა და გეოგრაფიული ანალიზის შესრულების შესაძლებლობის მიღწევას;
- საველე პირობებში მოვლენათა მიმდინარეობის შესახებ მონაცემების შეგროვების ალღოს გამომუშავებას, განმარტებებისა და მეცნიერულად დასაბუთებული (არგუმენტირებული) დასკვნების ჩამოყალიბებას;
- გარემოს არსებული მდგომარეობის შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის წარმოდგენას, გარემოს დაცვის პრობლემის დანახვასა და არსებული პრობლემის გადაჭრის გზების გამონახვის შესაძლებლობას, გარემოს დარღვეული მდგომარეობის შესახებ როგორც სპეციალისტების, ისე არასპეციალისტებისათვის კომუნიკაციას ქართულ და უცხოურ (სასურველია) ენებზე;
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების - გის-ებისა და ექსპერტული სისტემების შემოქმედებითად გამოყენების ზოგადი უნარის მიღებას;
- ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის შესახებ არსებული შინაარსის მასალების ათვისებისა და საკუთარი სწავლის პროცესის მართვის შესაძლებლობას, შემდგომი სწავლის საჭიროების გაცნობიერებას;
- გარემოს ობიექტების ანთროპოგენური გარდაქმნების, როგორც ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების სრულფასოვან აღქმას, კოლეგების მიერ ამ პრობლემებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების შეფასების უნარის მიღწევას, ნეგატიურად გარდაქმნილი გარემოს ობიექტების გონივრული მართვისა და რეგულირების პრინციპების ათვისებას, ახალი ღირებულებების შემუშავებისა და დამკვიდრება-დანერგვის ცოდნის გამომუშავებას, საძიებო-საკვლევ საქმიანობაში საკუთარი წვლილის შეტანის უნარების შექმნასა და მათი დამკვიდრების გამოვლენას.

8. სწავლის შედეგები

- **ცოდნა და გაცნობიერება** - მიღებული აქვს ფართო და სისტემური ცოდნა გეოგრაფიული მეცნიერების სისტემის შესახებ; დაუფლებულია მსოფლიოში გამორჩეული გეოგრაფიული მეცნიერების თეორიულ და პრაქტიკულ შეხედულებებს, თეორიებს, კონცეფციებს, პრინციპებსა და აქვს მათი კრიტიკული გააზრების უნარი; მიღებული აქვს ფართო და ღრმა ცოდნა ადამიანის სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ნეგატიური მოვლენის - დარღვეული ბუნებრივი გარემოს შიდა სისტემური სტრუქტურისა და მიმდინარე ცვლილებების თეორიული საფუძვლების შესახებ; შეძენილი აქვს საფუძვლიანი და სისტემური ცოდნა ბუნებრივი გარემოს კომპლექსური და რაციონალური (გონივრული) ათვისების შესახებ; გაცნობიერებული აქვს ზოგადი განათლებისა და კერძოდ - გეოგრაფიული ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა და პროფესიული პასუხისმგებლობა; გამომუშავებული აქვს ბუნებრივი გარემოსა და საზოგადოების ურთიერთობის შედეგად წარმოქმნილი კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური და გეოეკოლოგიური საკითხების//პრობლემების ერთიანი გააზრება და სიღრმისეული გაცნობიერება.
- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი/პრაქტიკული უნარები** - ბუნებრივ-ანთროპოგენური მოვლენების გარემოზე ნეგატიური ზემოქმედებების პრობლემათა სისტემური შესწავლის, საძიებო-საკვლევე საქმიანობის კომპლექსური წარმართვისა და გარემოს რეგულირების ღონისძიებათა შემუშავებისათვის მაგისტრატურის კურსდამთავრებული უზრუნველყოფილია:
 - გეოგრაფიული მეცნიერებისათვის დამახასიათებელი საველე-კომპლექსური, ბუნებრივ-ანთროპოგენური პროცესების კვლევებისათვის გამორჩეული საექსპედიციო-სტაციონარული მეთოდების ცოდნითა და გამოყენების უნარებით;
 - საძიებო სამუშაოთა ჩატარების, კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირების მაღალი პროფესიონალიზმითა და მათი გადაჭრის გზების გამონახვის უნარ-ჩვევებით;
 - საველე-კვლევითი პრაქტიკული დანიშნულების პროექტებისა და კამერალური ხასიათის თეორიულ სამუშაოთა განხორციელებისათვის აუცილებელი ღრმა ცოდნით, რომელიც აძლევს საშუალებას, წინასწარ დაგეგმილი მითითებების შესაბამისად, განახორციელოს: მონაცემების შეგროვება, მათი დიფერენციაცია და იდენტიფიცირება, ანალიზი და სინთეზი, მოვლენათა კომპლექსური შესწავლა და გეოგრაფიული ინტერპრეტაცია, გარემოდაცვითი ღონისძიებების შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა;
 - გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების ზოგადი უნარ-ჩვევებით;

- სამუშაოს დაწყებამდე შესასრულებელი კონკრეტული საქმიანობის გეგმის შედგენის, ზოგადი პრიორიტეტების გამოყოფის, ძირითადი რესურსებით უზრუნველყოფის, საკვლევი მთავარი იარაღის გამოყენებისა და მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებთან კონსულტაციის შედეგად საველე-პრაქტიკული სამუშაოთა ალღოიანი წარმართვის ძირითადი უნარებით.

- **არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარი** - კურსდამთავრებულს გააჩნია:
 - საველე და კამერალური სამუშაოებისათვის დამახასიათებელი ბუნების სტიქიურ-დამანგრეველი საშიში მოვლენების დანახვისა და რისკ-ფაქტორების პარამეტრების გაზომვის, მათი გამოვლინებების შესახებ განმარტებების შემუშავებისა და დასკვნების გამოტანის უნარები;
 - განყენებული მონაცემების საფუძველზე გარემოს ადგილობრივი და/ან რეგიონული გარდაქმნების გამომწვევი მიზეზების ანალიზის, ნეგატიური პროცესების დიაგნოსტიკისა და პროგნოზირების უნარები;
 - მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მცირე (მინიმალური) ზედამხედველობის პირობებში, გარემოს ნეგატიური მოვლენების პარამეტრების შესახებ მონაცემების ინტერპრეტაცია-განზოგადოების, მიღებული შედეგების ობიექტური შეფასების, ამოცანებისა და პრობლემების გადაწყვეტის, საუტილიზაციო პროექტების რეალიზაციისათვის აუცილებელი მოსაზრებების ჩამოაყალიბებისა და სარეკომენდაციო დასკვნების გამოტანის, მათი გადაჭრის (სტიქიის თავიდან აცილების ღონისძიებების დასახვა) გზების გამონახვის უნარები;
 - კვალიფიცირებული სპეციალისტების ზედამხედველობის პირობებში ფიზიკურ გეოგრაფიაში გამორჩეული მეთოდის - ზოგადგეოგრაფიული, თემატური და სპეციალური დანიშნულების რუკების შედგენაში, რესურსული პოტენციალის შესახებ მონაცემთა ბაზებისა და ტექნიკურ-საკადასტრო სისტემების (გის-ეზი) შექმნაში, მეცნიერულად დასაბუთებული გეოგრაფიული შინაარსის გამოყენებითი (რეგიონების რაციონალური ათვისება და მდგრადი განვითარება) ხასიათის დასკვნების ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღების საშუალება.

- **კომუნიკაციის უნარი** - მაგისტრატურის კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს:
 - ბუნებრივი გარემოს რაციონალური ათვისებისა და რეგიონების მდგრადი ეკონომიკური განვითარების მისაღწევი გეოგრაფიული შინაარსის იდეების შესახებ წერილობითი ანგარიშის მომზადების უნარი;
 - გარემოში არსებული ბუნების სტიქიურ-დამანგრეველი პრობლემების გადაჭრის გზების პრაქტიკული ორგანიზების მიზნით დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადების, აგრეთვე ამ/და სხვა ინფორმაციების როგორც გეოგრაფიული დარგის სპეციალისტების, ისე არასპეციალისტებისათვის (პოპულარულ ენაზე) ზეპირი გადაცემის უნარი;
 - კომუნიკაციის უნარი მშობლიურ და უცხოურ ენებზე;

- ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის შესახებ კვალიფიცირებული ანგარიშის შედეგაში, თანამედროვე საინფორმაციო (გის-ტექნოლოგიები) და საკომუნიკაციო (გეოინფორმაციული) სისტემების შემოქმედებითად (ექსპერტული სისტემები) გამოყენებაში მონაწილეობის უნარები და ჩვევები.
- **სწავლის უნარი** - კურსდამთავრებული უზრუნველყოფილია:
 - გეოგრაფიული შინაარსის მასალების ათვისებისა და საკუთარი სწავლის პროცესის მართვის, თანმიმდევრული და მრავალმხრივი შეფასებისა და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრის უნარებით;
 - სადოქტორო პროგრამების ათვისებისა და სწავლის გარმელების სურვილით.
- **ღირებულებები** - კურსდამთავრებული კვალიფიცირებული მაგისტრის აკადემიური ხარისხის სპეციალისტი შეიარაღებულია რა გარემოს ობიექტების ბუნებრივი განვითარებისა და მათი ანთროპოგენური გარდაქმნების, როგორც ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების, სრულფასოვანი აღქმისა და კოლეგების მიერ ამ პრობლემებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების შეფასების უნარით - ადვილად შეუძლია ნეგატიურად გარდაქმნილი გარემოს ობიექტების გონივრული მართვისა და რეგულირების პრინციპების რეალიზაციაში მონაწილეობა, რომელიც საშუალებას აძლევს მას, ახალი ღირებულებების შემუშავებისა და დამკვიდრება-დანერგვის პროცესში, გამოიმუშავოს საკუთარი წვლილის შეტანის უნარები და გამოავლინოს სწრაფვა მათი დამკვიდრების მიზნით.

9. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით				ლექტორი	წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV		
სავალდებულო კურსები/მოდულები - 108 კრედიტი											
1.	ინგლისური ენა B 2 დონე	ENGL M 201	3	35	40	3					წინაპირობის გარეშე
2.	დარგობრივი ინგლისური ენა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები)	ENGL M 202	3	35	40		3				ENGL M 201
3.	გეოგრაფიული მეცნიერების თეორიული საფუძვლები	GE0GR M201	6	50	100	6				სსუ პროფესორი მ. ალფენიძე	წინაპირობის გარეშე
4.	საქართველოს ბუნებრივი რესურსები	GE0GR M202	6	50	100	6				სსუ ასოც. პროფესორი მ. გონგაძე	GE0GR M201
5.	ზოგადი და რეგიონული სპელეოლოგია	GE0GR M203	6	50	100	6				სსუ პროფესორი მ. ალფენიძე	GE0GR M201
6.	შავი ზღვის აუზის რესურსები და გეოეკოლოგიური პრობლემები	GE0GR M204	6	50	100	6				სსუ პროფესორი მ. ალფენიძე	GE0GR M201
7.	საქართველოს სტიქიურ-დამანგრეველი მოვლენები	GE0GR M205	6	50	100		6			სსუ ასოც. პროფესორი მ. გონგაძე	GE0GR M202
8.	გარემოს საველე, სტაციონარული, ექსპედიციური და კამერალური კვლევის მეთოდები	GE0GR M206	6	50	100		6			სსუ პროფესორი მ. ალფენიძე	წინაპირობის გარეშე
9.	საველე (პროფესიული) პრაქტიკა	GE0GR M207	6	105	45		6				GE0GR M206
10.	გლაციოლოგია	GE0GR M208	6	50	100			6		სსუ ასოც. პროფესორი მ. გონგაძე	GE0GR M201

11.	საქართველოს გარემოს პრობლემები	GE0GR M209	6	50	100			6		სსუ ასოც. პროფესორი მ. გონგაძე	GE0GR M202
12.	საქართველოს კლიმატურ-გეოგრაფიული პრობლემები	GE0GR M210	6	50	100			6		სსუ პროფესორი მ. ალფენიძე	GE0GR M202
13.	გამოყენებითი გეოგრაფიის საფუძვლები	GE0GR M211	6	50	100			6		სსუ ასოც. პროფესორი მ. გონგაძე	GE0GR M201
14.	სამაგისტრო ნაშრომი	GE0GR M220	30	65	685				30		
არჩევითი კურსები/მოდულები - 18 კრედიტი						3	9	6			
1.	მონაცემთა ბაზები და ექსპერტული სისტემები	GE0GR M212	3	35	40					სსუ ასოც. პროფესორი რ. თოლორდავა	წინაპირობის გარეშე
2.	თემატური კარტოგრაფია და ატლასების შედგენა	GE0GR M213	3	35	40					სსუ ასოც. პროფესორი რ. თოლორდავა	წინაპირობის გარეშე
3.	საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები	GE0GR M214	6	50	100					სსუ ასოც. პროფესორი მ. ლვინჯილია	წინაპირობის გარეშე
4.	ეკოტურიზმი და ეროვნული პარკები	GE0GR M215	6	50	100					სსუ ასოც. პროფესორი მ. ლვინჯილია	წინაპირობის გარეშე
5.	საქართველოს ბუნება, საზოგადოება, მეურნეობა, პოლიტიკა	GE0GR M216	6	50	100					სსუ ასოც. პროფესორი რ. თოლორდავა	GE0GR M205
6.	სამომავლო მოქმედებები: გარემოს გეოეკოლოგიური გარდაქმნები	GE0GR M217	3	35	40					სსუ ასოც. პროფესორი რ. თოლორდავა	GE0GR M205
7.	ქალაქის ანთროპოგენული გარემო	GE0GR M221	3	35	40					სსუ ასოც. პროფესორი რ. თოლორდავა	წინაპირობის გარეშე
8.	გეოგრაფია და თანამედროვეობა	GE0GR M222	3	35	40					სსუ ასოც. პროფესორი მ. გონგაძე	წინაპირობის გარეშე
9.	ზღვა, ნაპირი -ადამიანი სისტემის ათვისება და დაცვა	GE0GR M223	6	50	100					სსუ პროფესორი მ. ალფენიძე	წინაპირობის გარეშე
ს უ ლ - 120 კრედიტი						30	30	30	30		